სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

01/08/2025

MES 8 25 0000942812

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების განრიგის შესახებ

“სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის: წესდების, მაგისტრატურის დებულების, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 7 თებერვლის N01-05-04/13 დადგენილების, რექტორის 2025 წლის 30 ივლისის N930415 და 2025 წლის 31 ივლისის N937470 ბრძანებების საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2025 წლის 3 სექტემბერს (იმ აპლიკანტთათვის ვინც სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად ვერ წარმოადგინა უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი არანაკლებ B2 დონის ან, B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი) სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული; კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული), კოსტავას ქ. N68)

9^{00} საათი

- **სამშენებლო ფაკულტეტი** (სამაგისტრო პროგრამები: „მშენებლობა“, „წყლის ინჟინერია“ (ინგლისურენოვანი), „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“ - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული);

- **სამთო გეოლოგიური ფაკულტეტი (**სამაგისტრო პროგრამები: „გეოლოგია“, „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“, „საინჟინრო გეოდეზია“, „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა“, „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები“ (რუსულენოვანი) და „სამთო და გეოინჟინერია“, - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული).
- **ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი (**სამაგისტრო პროგრამები: „ბიზნესის ადმინისტრირება“ ,,საბანკო პროცესების მართვა“, „სასტუმრო მომსახურების მართვა“, „საჯარო მმართველობა“ „საჯარო მმართველობა“ (რუსულენოვანი), ბიზნესის ადმინისტრირება (65 კრედიტი) კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული);
- **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (**სამაგისტრო პროგრამები: „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია“, „ქიმია“, „მასალათმცოდნეობა“, „გარემოს დაცვითი ინჟინერია“, „ფარმაცია“- კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული).

11^{00} საათი

- **სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი** (სამაგისტრო პროგრამები: „ტრანსპორტი“, „ლოგისტიკა“, „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“- „მრეწველობის ინჟინერია და ტექნოლოგია“, და „სამეწარმეო მენეჯმენტი“ - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული);
- **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი** (სამაგისტრო პროგრამები: „ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა“, „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“, „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ (ინგლისურენოვანი), „მათემატიკა“, „საინჟინრო ფიზიკა“, „სამედიცინო ფიზიკა“ „მართვის სისტემების, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“, „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული);
- **აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი** (სამაგისტრო პროგრამები: „მევენახეობა და მეღვინეობა“, „მევენახეობა და ენოლოგია“ (ინგლისურენოვანი), „სასოფლო სამეურნეო ჰიდრომელიორაცია“ და „მეცხოველეობა“, “სურსათის უვნებლობა“ - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული);
- **სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (**სამაგისტრო პროგრამები: „სამართალი“, „საერთაშორისო ურთიერთობები“ - კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული).

13^{00} საათი

- **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი** (სამაგისტრო პროგრამები: „ინფორმატიკა“ და „კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის” (ინგლისურენოვანი) - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული);
- **საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიების და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტ**ი (სამაგისტრო პროგრამა - „ევროპისმცოდნეობა“ - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული).
- **არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი**(სამაგისტრო პროგრამა - „არქიტექტურა“ - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული).
- **დიზაინის საერთაშორისო სკოლა** (სამაგისტრო პროგრამა „დიზაინი“) -კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული).

1.1. **უცხო ენაში გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს 2025 წლის 4 სექტემბერს,** სააპელაციო განაცხადები მიიღება **2025 წლის 3 სექტემბრიდან 5 სექტემბრის 12^{00} საათამდე** გამოცდის ჩატარების ადგილზე. საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით **გამოქვეყნდეს 2025 წლის 5 სექტემბერს.**

1.2. **გასაუბრება ერთ ერთ უცხო ენაში (ინგლისური ენა, გერმანული ენა ფრანგული ენა) ჩატარდეს 2025 წლის 3 სექტემბერს 11^{00} საათზე** (იმ აპლიკანტთათვის რომლებმაც განაცხადი შემოიტანეს **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე** „მეტალურგია“, **საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** სამაგისტრო პროგრამებზე: „ეკონომიკა“, „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“და „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ და ვერ წარმოადგინეს უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი არანაკლებ B2 დონისა ან, B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი).

1.3. **უცხო ენაში გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდეს 2025 წლის 4 სექტემბერს.**

2. სასპეციალიზაციო გამოცდები სამაგისტრო პროგრამებზე ფაკულტეტების მიხედვით ჩატარდეს:

2.1. **2025 წლის 5 სექტემბერს** სტუ-ის I კორპუსში, კოსტავას ქ.N68, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (აუდიტორიები №403C; 407C; 305.);

11^{00} საათი

- **არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი** (სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“).

2.2. **2025** წლის **5 სექტემბერს** სტუ-ის VIII კორპუსში, კოსტავას ქ.75ა, დიზაინის საერთაშორისო სკოლა (აუდიტორია №14);

11^{00} საათი

- **დიზაინის საერთაშორისო სკოლა** (სამაგისტრო პროგრამა - „დიზაინი“)

2.3. **2025 წლის 5 სექტემბერს** სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული; კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული), კოსტავას ქ.N68 შემდეგი განრიგით:

9^{00}საათი

- **საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის** სამაგისტრო პროგრამები - „ევროპისმცოდნეობა“, „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“, „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული;
- **სამთო-გეოლოგიურიფაკულტეტის** ყველასამაგისტრო პროგრამა - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული;
- **სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის** ყველა სამაგისტრო პროგრამა - კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული;

- **საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის** სამაგისტრო პროგრამა - „ეკონომიკა“- კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული;
- **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი** სამაგისტრო პროგრამები „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები„ და კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის (ინგლისურენოვანი) - კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული.

11^{00}საათი

- **ენერგეტიკის ფაკულტეტის** ყველა სამაგისტრო პროგრამა - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული);
- **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის** ყველა სამაგისტრო პროგრამა - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული;
- **სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი** სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული.
- **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის** სამაგისტრო პროგრამები: „ინფორმატიკა“, „საინჟინრო ფიზიკა“, „სამედიცინო ფიზიკა“, „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ (ინგლისურენოვანი) და „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ - კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული).

13^{00}საათი

- **აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის** ყველა სამაგისტრო პროგრამა - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული.
- **ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის** სამაგისტრო პროგრამები „ბიზნესის ადმინისტრირება“, „სასტუმრო მომსახურების მართვა“ და „საბანკო პროცესების მართვა“ „ბიზნესის ადმინისტრირება“ (65 კრედიტი) „ბიზნესის ადმინისტრირება“ (ინგლისურენოვანი 65 კრედიტი), კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული.

15^{00}საათი

- **სამშენებლო ფაკულტეტის** ყველა სამაგისტრო პროგრამა - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული.
- **სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობებ**ის **ფაკულტეტის** სამაგისტრო პროგრამა „სამართალი“- კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული).

17^{00}საათი

- **ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის** სამაგისტრო პროგრამები: „საჯარო მმართველობა“, „საჯარო მმართველობა“ (რუსულენოვანი) და „ბიზნესის ადმინისტრირება“ (ინგლისურენოვანი) - კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული;
- **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის** სამაგისტრო პროგრამები: „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“, „მათემატიკა“, „ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა“ -კომპიუტერული ცენტრი - 1, მე-6 სართული.

3. სასპეციალიზაციო გამოცდების პირველადი შედეგები გამოცხადდეს შესაბამისად **2025 წლის 6 სექტემბერს** და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე **2025 წლის 5 სექტემბრიდან 8 სექტემბრის 12^{00} საათამდე;** სასპეციალიზაციო გამოცდების საბოლოო შედეგები (აპელაციის გათვალისწინებით) **გამოცხადდეს 2025 წლის 8 სექტემბერს** და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ფაკულტეტების დეკანებმა საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილისა და სასპეციალიზაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე (საკონკურსო ქულა), მოამზადონ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების საფაკულტეტო დოკუმენტი და შესაბამისი წარდგინება სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ და უზრუნველყონ ამ დოკუმენტების წარდგენა სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში **არაუგვიანეს 2025 წლის 9 სექტემბრის**ა. იმავე დღეს მოხდეს მათი განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

6. სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ მაგისტრანტობის კანდიდატებთან სასწავლო და საფინანსო **ხელშეკრულების გაფორმება** **2025 წლის 10 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით** (კვირა დღის გარდა) და **18 სექტემბერს წარმოადგინონ ჩარიცხვის პროექტი სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში;**

7.სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა 2025/2026 სასწავლო წლისათვის სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არაუგვიანეს 2025 წლის 1 ოქტომბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

8. სამაგისტრო საგამოცდო პროცესის წარმართვა დაევალოს ინფორმაციული სამსახურის უფროსს დ. კაპანაძეს და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანს თ. ჟვანიას

9. საგამოცდო პროცესის წარმართვაზე კონტროლი დაევალოს ვიცე-რექტორს თ. წერეთელს

10. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახურმა;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი

თ. [signature]

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული